ციცი ჩუბინიძე

აურელ ვლაიცუს უნივერსიტეტი არადში, რუმინეთი

24-29 მაისს, Erasmus+ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში, კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ადმინისტრაციულმა დირექტორმა, ციცი ჩუბინიძემ, მონაწილეობა მიიღო აურელ ვლაიცუს უნივერსიტეტის (არადი, რუმინეთი) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კვირეულის პროგრამაში.

პროგრამა აერთიანებდა სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს და მიზნად ისახავდა გამოცდილების გაზიარებას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებასა და Erasmus+ პროგრამის ფარგლებში ახალი პარტნიორული შესაძლებლობების განვითარებას.

კვირეულის განმავლობაში მონაწილეები დაესწრნენ სამუშაო შეხვედრებს, ვორქშოფებსა და დისკუსიებს, რომლებიც შეეხებოდა საერთაშორისო პროექტებს, ინტერკულტურულ კომუნიკაციას, მრავალფეროვან აკადემიურ გარემოში სწავლებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიდგომებს, ასევე უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებს. მათ ასევე შესაძლებლობა ქონდათ გაცნობოდნენ რუმინეთის კულტურას, ენას და ქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

მობილობის ფარგლებში ციცი ჩუბინიძემ წარადგინა კავკასიის უნივერსიტეტი, მისი საგანმანათლებლო პროგრამები და საერთაშორისო საქმიანობა.

აღნიშნულ მობილობაში მონაწილეობა მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო როგორც პროფესიული განვითარების, ისე Erasmus+ პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო პარტნიორებთან გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით.